განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“

## სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26,27,28 მაისი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 ივნისი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | გეოგრაფია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მეცნიერების ბაკალავრი გეოგრაფიაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, #213 28.10.2011 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნოდარ ფოფორაძე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ ელოშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიკა ტატიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | ნინო ჯოჯუა, საქართველოს შავი ზღვის |

კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დეკანოიძე - აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიულ სკოლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ისტორია აქვს, რომელიც იწყება ფაქტიურად უნივერსიტეტის დაარსებიდან. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნული ფორმით ხორციელდება 2007 წლიდან. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს. სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 აკადემიური წლისა (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 25 კრედიტს შეადგენს, საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები კი 15 კრედიტს. ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 85 კრედიტს, ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 35 კრედიტს, დამატებითი პროგრამის სასწავლო კურსების რაოდენობა 60 კრედიტია, ხოლო თავისუფალი კურსებისათვის 20 კრედიტია დათმობილი.

უკანასკნელი აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. 2011 წლიდან დღემდე განხორციელებული ცვლილებები:

- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან;
- შეიცვლა პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგები კვალიფიკაციების განახლებულ ეროვნულ ჩარჩოსთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით) თავსებადობის მიზნით;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსები: სტატისტიკური მეთოდები გეოგრაფიაში (5 კრედიტი) და ლანდშაფტების არქიტექტურა (5 კრედიტი);
- გაუქმდა შემდეგი სასწავლო კურსები: ლანდშაფტების კლიმატოლოგია და ლანდშაფტების გეოფიზიკა.
- პერმანენტულად ხორციელდება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის განახლება.

პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი გეოგრაფის ჩამოყალიბება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რაც განსაზღვრულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერით და მოცემულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორის

შესაბამის სფეროში. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია და ითვალისწინებს 240 კრედიტის ათვისებას (მათ შორის  პრაქტიკა).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 14 მაისის ბრძანების №446988 შესაბამისად,  ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნოდარ ფოფორაძე (თავმჯდომარე), მიხეილ ელაშვილი (წევრი), მარიკა ტატიშვილი (წევრი), ნინო ჯოჯუა (წევრი), ნინო დეკანოიძე (წევრი) შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, 26 და 27 აპრილს განახორციელა ონალინ ვიზიტი  ZOOM ინტერფეისის გამოყენებით, კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ხოლო 28 აპრილს ვიზიტი ადგილზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ბიბლიოთეკის დათვალიერების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარ-მოადგენდა „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედი-ტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი გაიმართა მშვიდ ორმხრივ ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან  და დამსაქმებლებთან. შეხვედრის დროს განხილულ იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და დარგობრივი საგნების თანაფარდობა, შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, განვითარების პერსპექტივები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი ასევე მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

უნივერსიტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია დარგის განვითარებაზე, რაც მიღწევადია ძირითადი სასწავლო კურსების ათვისებით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით:

- უნივერსიტეტის, ქვეყნისა და მის გარეთ თანამშრომელთა მიერ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.

- გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, საჯარო რეესტრთან, გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის სამსახურთან, ტურიზმის სექტორთან, გეოგრაფიის, ჰიდრომეტეოროლოგიის და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტებთან, შპს გეოგრაფიკთან, პროფესიული თანამშრომლობა;
- სტუდენტთა შემეცნებითი და დასაქმებაზე ორიენტირებულ საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა.

თუმცა აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რჩევაა რომ სტუდენტთა და პროფესორთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტად აქტიურად ჩართვა.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ონლაინ ვიზიტისას მოგროვებული ინფორმაცია გვიჩვენებს, გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას სამეცნიერო დაწესებულებებში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, საჯარო რეესტრში, გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის სამსახურში, ტურიზმის სექტორში და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გეოგრაფიის“ მუშაობის დროს გათვალისწინებული იყო დარგის მიმართ შრომის ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნები, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ შედგენილია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციებთან თანხვედრაში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს Major და Minor მოდულებს და მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა რჩევის სახით დავამატებთ რომ ეს კომპონენტი კიდევ უფრო შეიძლება გაძლიერდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის სილაბუსებში დამხმარე მასალებად გამოყენებით.

უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულად განთავსებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებას. გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, საჯარო რეესტრს, გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის სამსახურს, ტურიზმის სექტორს და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გეგრაფიის დეპარტამენტის ლექტორ-თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ სხვადსხვა ტრეინინგსა და პრაქტიკულ ღონისძიებებში. პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასწავლო-საველე პრაქტიკა,

რომელიც მოიცავს საველე კვლევის, ვერბალური, დისკუსია/დებატების, დემონსტრირების მეთოდებს.

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკიციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. საბაკალავრო პროგრამას ემსახურება 43 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 11 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი და 15 ასისტენტ პროფესორი) 3 მოწვეული პედაგოგი.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რასაც ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე მოთხოვნებით, დასრულების სტადიაში მყოფი სააუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცის რემონტი. მართალია შეიმჩნევა ლაბორატორიული ბაზის ყოველწლიური შევსება, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისად:**

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

- სილაბუსებში თემატიკების (გისი) და შედეგების (ნიადაგმცოდნეობა) დაზუსტება;

**დაწესებულების არგუმენტირებულზე პასუხი**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ ინსტიტუციური პოზიციის არგუმენტაციიდან ირკვევა, რომ სილაბუსში „ნიადაგმცოდნეობა“ გათვალისწინებულია სემესტრის განმავლობაში სტუდენტების ორჯერადი გაყვანა თბილისის ფარგლებში. აღნიშნულ სილაბუსში გათვალისწინებულია კრედიტების განაწილება სალექციო და ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის, არსადაა მითითებული სასწავლო პრაქტიკა ან საველე გასვლა, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში. ასევე, საგულისხმოა, რომ ორჯერ ველზე გასვლის პირობებშიც საკმაოდ ძნელია იმ შედეგზე გასვლა, რასაც „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობა“ ითვალისწინებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ ჩართვა თუნდაც არჩევით საგნად, რათა უკეთ შეესაბამოს „მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში“ კვალიფიკაციას;
  - ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესების დინამიკის შენარჩუნება, შესაძლებელია საფაკულტეტო ლაბორატორიის ფარგლებში;
  - უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, პროფესიული ტერმინების სწავლების დამატება;
  - სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში  და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში;
  - საველე პრაქტიკებისას სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი;
  - პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად  განვითარება, სასურველია, უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მეტად განვითარებისათვის;
  - ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში;
  - სასურველია დამხმარე ლიტერატურაში თანამედროვე საერთაშორისო სახელმძღვანელოების  მეტი რაოდენობით მითითება სილაბუსებში, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის;
  - სასურველია საველე პრაქტიკების, საველე სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოების მოცულობის გაზრდა;
  - სასურველია ახალ რიდერებთან, სალექციო კურსებთან ერთად თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოშვება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო საველე-გეოგრაფიული პრაქტიკების დაფინანსება და ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
  - შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო პროექტები;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი პროფესიული დონე და დიდი გამოცდილება;

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>**აღწერა და შეფასება**<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების სესიების შედეგებით დასტურდება, რომ გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულია 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის რჩევები და რეკომენდაციები. პროგრამის მიზნები შეესაბამება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას, აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, პრაქტიკული, ინოვაციური და ამასთან მიღწევადი მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა.<br>კერძოდ, გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:<br>1. შეასწავლოს სტუდენტს ბუნებრივი სისტემების ორგანიზაცია და მისი ფუნქციონირების სივრცე დროითი ასპექტები, გარემოს სტრუქტურისა და მისი ცვალებობის თავისებურებები და კანონზომიერებები და ამით უზრუნველყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალის ჩამოყალიბება.<br>2. კურსდამთავრებულისთვის შემდეგ საფეხურებზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შექმნა; გეოგრაფიის და მომიჯნავე სფეროებში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის წინაპირობის შექმნა.<br>3. გეოგრაფიის დარგის განვითარებისთვის, ხელისშეწყობა მის მეტ ინტეგრაციას გარემოსდაცვით, ეკონომიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების (გის) სხვადასხვა სფეროში.<br>საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავების პერიოდში გაზიარებული იყო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომელთა ქმედითი მონაწილეობით პროგრამამ გაიარა ცალკეული ცვლილებები და მისი განხილვა შემდეგ ეტაპზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებულ სხვადასხვა პირთა წინაშე, რომელთა სამუშაო ფორმატი განისაზღვრა პროგრამის განვითარებისა და ხელშეწყობის კომიტეტის ფარგლებში და ფუნქციების შესაბამისად. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიან კურსდამთავრებულს შესწევს უნარი თავისი წვლილი |

| |
|---|
| შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ. აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და სტაჟირების საკითხებზე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, სადაც ასახულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, თუმცა გასაუმჯობესებელია უცხოელი აკადემიური პერსონალის მეტად მოზიდვა და ჩართვა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში.<br>საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები (დანართი 1);<br>• უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ka/page/უნივერსიტეტის-შესახებ);<br>• სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) (https://www.tsu.ge/assets/media/files/1/უნივერსიტეტის%20სტრატეგიული%20განვითარების%20გე გმა.pdf);<br>• პროგრამის დარგობრივ კომიტეტზე საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის სხდომის ოქმები (დანართი 13);<br>• ექსპერტთა ჯგუფის წევრების გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან;<br>• შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი (დანართი 8) |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად განვითარება, სასურველია, უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მეტად განვითარებისათვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული 11 სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია არსებული რეგულაციების შესაბამისად.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში. მათი ურთიერთთანამშრომლობით განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები და მათ აქვთ კარგად გააზრებული ერთიანი ხედვა. სწავლის შედეგები ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებთა მოთხოვნების კვლევას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების ინტერესებს.

პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში ნათლად ჩანს, რომელი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსი.

გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის შედეგებია:

**ა) ცოდნა და გაცნობიერება**

1.1. აღწერს გეოგრაფიული გარსის განვითარების ეტაპებს, სტრუქტურასა და დინამიკას,

სტრუქტურულ-გეომორფოლოგიურ ელემენტებს, ენდოგენურ და ეგზოგენურ პროცესებს;
1.2. განსაზღრავს ჰიდროლოგიური პროცესების (ხმელეთის წყლებისა და ზღვების) კანონზომიე რებებს, ატმოსფეროს სითბურ რეჟიმს, ცირკულაციასა და კლიმატწარმოქმნას; აღწერს სტიქიური პროცესების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს;
1.3. აყალიბებს ნიადაგწარმოქმნელ ფაქტორებს, ნიადაგების შედგენილობა-თვისებების, კლასიფიცი რებისა და გავრცელების პრინციპებს;
1.4. განსაზღვრავს ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებსა და გეოსისტემების დინამიკას და ახდენს გეოგრაფიული კვლევის მეთოდების კლასიფიცირებას;
1.5. ხსნის ბიოგეოგრაფიული მრავალფეროვნების პრინციპებს;
1.6. ახდენს გეოგრაფიულ მონაცემთა საინფორმაციო სისტემის პრინციპების განზოგადებას და განმარტავს კარტოგრაფიული გამოსახულების ხერხებს;
1.7. განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მდებარეობის მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებასა, საზოგადოებრივი გეოგრაფიის კონცეპტუალურ საფუძვლებს;

**ბ) უნარები**

2.1 მოიძიოს ზოგად-გეოგრაფიულ მასალა (მათ შორის საველე პირობებში და ინტერნეტის საშუალებით) და განახორციელოს მოძიებული მასალის დოკუმენტირება და შედეგების მოხსენება;
2.2 დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის აპრობირებული მეთოდების, მიდგომების, პრინციპების, აგრეთვე ამ სფეროში ცოდნის უახლესი ასპექტების პრაქტიკაში გამოყენება.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

3.1. დამოუკიდებლად პროფესიული და ეთიკური პრინციპების დაცვით განახორციელოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შეფასება, შედეგების შეჯერება და ინტერპრეტაცია;
3.2. დაგეგმოს შემდგომი პროფესიული განვითარება.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის – აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. (პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (ბრძანება #69/ნ, 10.04.2019, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება (ბრძანება N69/ნ, 10.04. 2019 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ);
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (დანართი 1);
- ექსერთთა ჯგუფის ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1) პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 4);
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები (დანართი 13);
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი 3); •
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 8).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>**აღწერა და შეფასება**<br>პროგრამაზე დაშვების პირობები ადექვატურია საბაკალავრო პროგრამაზე დაშვებისათვის:<br>• გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>• ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის |

შესაბამისად.

- გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
- გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (tsu.ge).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის №153/2017 დადგენილებით ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ***) მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა იყენებს ECTS სისტემას.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცა დარგობრივ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ***).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო წარდგენილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების/ ინდიკატორების შესაბამისად, რის შემდეგაც გაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეგზავნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამა დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურ საბჭოს.

**პროგრამის სტრუქტურა**

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორის:

- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 25 კრედიტი;
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი;

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 85 კრედიტი;
- ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 35 კრედიტი;
- დამატებითი პროგრამის სასწავლო კურსები – 60 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები – 20 კრედიტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 1**);
- (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილების („სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) https://www.tsu.ge/ka/legalakad/15842;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №76/2018 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“): https://www.tsu.ge/ka/legalakad/15988.
- გეოგრაფიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი (**დანართიN13**).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

წარმოდგენილი საბუთებისა და ინტერვიუების შეფასებისას გაანალიზებული იქნა წარმოდგენილი სილაბუსების ტექნიკური და შინაარსობრი მხარე. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ორიენტირებულია სტუდენტის მიერ გეოგრაფიის ბაკალავრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკისა და მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას. შეფასების სიტემა სრულ შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის

| |
|---|
| მიზნებს. სილაბუსებში პერიოდულად ხორციელდება ლიტერატურის განახლება, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა, სწავლების მეთოდებისა და სხვა სახის ცვლილებები. სილაბუსებში სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემების აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას.<br>სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური ლიტერატურა |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 1**);<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები (**დანართი 1**);<br>• ინტერვიუ<br>• საგანმანათლებლო პროგრამის კურუკულუმის რუკა (**დანართი 4**);<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (tsu.ge). |
| **რეკომენდაციები:**<br>▪ სილაბუსებში თემატიკების (გისი) და შედეგების (ნიადაგმცოდნეობა) დაზუსტება; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში  და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში<br>• საველე პრაქტიკებისას სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი;<br>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ ჩართვა თუნდაც არჩევით საგნად, რათა უკეთ შეესაბამოს „მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში“ კვალიფიკაციას;<br>• უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, პროფესიული ტერმინების სწავლების დამატება;<br>• სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში  და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში;<br>• სასურველია ახალ რიდერებთან, სალექციო კურსებთან ერთად თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოშვება. |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, ჩართულია სხვადასხვა კონფერენციების მოწყობაში, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აგრეთვე პროგრამის კურიკულუმის რუკაში. ამასთან ერთად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/ სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში

ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია. სტუდენტურ ინიციატივას, მათ პროექტებს აფასებს საუნივერსიტეტოს კომისია, რომლის შემადგენლობაშია სხვადასხვა ფაკულტეტების, დეპარტამენტების წარმომადგენლები, სტუდაქიტივი და ინოვაციის დანერგვის ცენტრის წარმომადგენლები. კომისიის მიერ გამჭვირვალედ განიხილება ყველა პროექტი, თუ საპროექტო განაცხადი. კომისია აფასებს ნაშრომს, რომლის შედეგებს წარუდგენს ავტორს.

გამარჯვებული პროექტი ფინანსდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი1**);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (**დანართი1**);
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://conference.sens-2020.tsu.ge/ (**დანართი7**).
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად განვითარება, სასურველია, უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მეტად განვითარებისათვის;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითოეული საგნის ლექტორს გააჩნია აკადემიური თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლისის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა; ამასთანავე წარმოდგენილი საგნების სწავლებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის მეთოდთა ერთობლიობა, რაც მითითებულია თითოეული საგნის სილაბუსში: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი (რეფერატის დამუშავება, ახალი სტატისტიკური მონაცემების მოძიება, საპრეზენტაციო მასალის შექმნა და წარდგენა); წერითი მუშაობის მეთოდი (ჩანაწერების გაკეთება, რეფერატის შესრულება, მასალის დაკონსპექტება და ა.შ.); ლაბორატორიული და/ან დემონსტრირების მეთოდი, რაც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: საანალიზო ნიმუშების მომზადება, ცდების დაყენება, პოლარიზაციული მიკროსკოპის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება, საპრეზენტაციო მასალის ჩვენება და სხვ.; პრაქტიკული მეთოდები სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს შემდეგ აქტივობას: საველე მუშაობა,

| |
|---|
| კონტურული რუკების შედგენა, სქემატური და გრაფიკული მასალის შექმნა და სხვ.; დისკუსია, დებატები – ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესებზე მოსაზრებების გამოთქმა, გაანლიზება, შეფასება; ჯგუფური მუშაობა (cooperative/collaborative) – ჯგუფში დისკუსიების გამართვა ბუნებრივ გარემოში მიმდინარე სტიქიური პროცესების გამომწვევ გეოგრაფიულ ფაქტორებზე; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), რაც სტუდენტს სიტუაციური კვლევების უნარს უყალიბებს; შემთხვევის ანალიზი, რაც გულისხმობს ბუნებრივი სტიქიური პროცესების გამომწვევი მიზეზების გაანალიზებისა და პრევენციის უნარის ჩამოყალიბებას; ახსნა-განმარტებითი მეთოდი – პედაგოგის მიერ გარკვეული განმარტებების გაკეთება გარემოში მიმდინარე ნებისმიერ ბუნებრივ, თუ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენასა და პროცესზე.<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური პროგრამაც. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი1**);<br>• საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (**დანართი 1**);<br>• საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (**დანართი 4**);<br>• უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ*;<br>• უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

○

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

სტუდენტთა შეფასება ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში და ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში". შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007

წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად, გამოცდები ტარდება შესაბამისი ინსტრუქციების მიხედვით,

შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/ წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

